ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N7

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 31 მაისი, 2019 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი;

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 14 წევრი:

1. ალექსანდრე ლილუაშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
2. გიორგი ივანიაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. სალომე ფახურიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი;
4. მიხეილ სვანაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
5. თამაზი თავაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
6. ნატო დვალიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
7. ლელა ჩიკვაიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
8. მარინა ღვინიანიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
9. ნათია ძოძუაშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
10. ეთერი ჭიჭინაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
11. თამარ ძნელაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
12. ნიკოლოზ დვალიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

13. გვანცა სიგუა-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

14. თამთა დვალიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: აპოლონ რამიშვილი, თამარ შენგელია, გელა ჩიკვაიძე, მამუკა ნამიჭეიშვილი, ივანე მამფორია, ტარიელ ბარამიძე, გონერი მეფარიშვილი, ნანა ლილუაშვილი.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ-ალექსანდრე ლილუაშვილმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მ/წლის II კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებებში გენდერული ინდექსის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

/მომხს: ლელა ჩიკვაიძე/

2. ვანელობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით 2 ივნისს გენდერული საბჭოს ჩართულობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

/მომხს: ნათია ძოძუაშვილი/

3. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგიის მომზადების მიზნით სამომავლო აქტივობების განსაზღვრა, დაგეგმვა;

/მომხს: სალომე ფახურიძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით- „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მ/წლის II კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებებში გენდერული ინდექსის შესახებ ინფორმაციის მოსმენა";

მომხსენებელმა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა-ლელა ჩიკვაიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „მოგეხსენებათ განსაკუთრებით ვემზადებით „ვანელობის" სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები: ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, მძლეოსნური კროსი, სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკსა და ნარდში, აღნიშნულ ღონისძიებებში გენდერული ბალანსი დაცულია. ლევან გერსამიას სახელობის ვანის კულტურის ცენტრში დაგეგმილია ღონისძიება, სადაც ვანის მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და სხვადასხვა დარგში ვანის სახელის წარმოჩენისათვის 8 საპატიო ვანელს: ექიმებს-დულიკო ავალიანს, თამაზ მაღლაკელიძეს, გელა სულაბერიძეს, ვანის მაჟორიტარ დეპუტატს (2016-2017 წლებში) გრიგოლ ლილუაშვილს, ქორეოგრაფ-უჩა დვალიშვილს, ისტორიკოს-ომარ კაპანაძეს, პედაგოგ-ნიკოლოზ სანიკიძეს და ბიზნესმენ-გელა ლორთქიფანიძეს საპატიო ვანელის წოდება მიენიჭებათ. ვანის მუნიციპალიტეტის მერი მათ საპატიო ვანელის დიპლომებს და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს. ასევე გვინდა მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ წარმატებული ვანელი ახალგაზრდები, რომლებმაც მოწინავე ადგილები დაიკავეს ადგილობრივ დონეზე ჩატარებულ ღონისძიებებში და ასახელეს ვანის მუნიციპალიტეტი რეგიონალურ პროექტებში. დაჯილდოვდებიან ასევე 2019 წლის მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები.

ცერემონიალის დასასრულს გაიმართება საზეიმო კონცერტი; გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმის ეზოში ღია ცის ქვეშ სივრცეში დაგეგმილია ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მიერ ხალხური ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის მხატვრული თვითშემოქმედება და წარმოჩენილი იქნება ტრადიციული კუთხეები. ტურიზმის ცენტრის მიერ მოეწყობა ტურისტული ლოკაციების ფოტოგამოფენა, აგროტურიზმის მიმართულებით ვანში დამზადებული პროდუქციის პრეზენტაცია-დეგუსტაცია. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ღია სცენაზე გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ჯგუფი „არგო" ლინდა ადამია და ბენდი 1/4, DJ ZAPA, დღის ბოლოს სახალხო დღესასწაული ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდება.

აზრი გამოთქვა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ „მოგეხსენებათ საპატიო ვანელებიდან ერთადერთი ქალბატონია დულიკო ავალიანი, რომელსაც გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე შესაბამისმა კომისიამ საპატიო ვანელის წოდება მიანიჭა. ვფიქრობ ამ ეტაპზე გენდერული ბალანსი არ არის დაცული, თუმცა სამომავლოდ მსგავსი პრეცედენტის გაგრძელებისთვის და უფრო მეტი ქალისთვის საპატიო ვანელის სტატუსის მინიჭებისთვის შესაბამისი წინაპირობაც იქნება, რათა გენდერულ საბჭოს შეეძლოს ამ მიმართულებით მეტი ჩართულობა".

აზრი გამოთქვა: გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ აღნიშნა, რომ „მნიშვნელოვანია გოგონების ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში, რაც გენდერული ბალანსის საფუძველია და ეს კარგადაა ასახული ვანელობას დაგეგმილ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში. ეტაპობრივად გენდერული საბჭო უფრო აქტიურად ჩაერთვება რაიონის ცხოვრებაში, უმთავრესი გამოწვევა ცნობიერების დაბალი დონე და გენდერული საბჭოს ინიციატივით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისთვის შესაბამისი ფინანსების არქონაა, თუმცა ეს პრობლემა მოგვარებადია". მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საბჭოს წევრების ეტაპობრივი გადამზადებას და კომპეტენტურ არასამთვარობო ორგანიზაციასთან მემორანდუმის გაფორმების აუცილებლობას.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ-ალექსანდრე ლილუაშვილმა საბჭოს წევრებს ბიუჯეტის დაგეგმვისკენ მოუწოდა „საწყის ეტაპზე აუცილებელია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პროექტის სახით გენდერული საბჭოს მიერ დაგეგმილი აქტივობა, განისაზღვროს მიზნობრიობა, რეზულტატი, რაც აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ გენდერულ საბჭოს ჰქონდეს შესაბამისი ბიუჯეტი, რათა დამოუკიდებლად შეძლოს წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება", რასაც დაეთანხმა საბჭო.

გადაწყვიტეს:

საბჭომ წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი.

მოისმინეს:

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით-"**ვანელობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით 2 ივნისს გენდერული საბჭოს ჩართულობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა**".

მომხსენებელმა გენდერული საბჭოს წევრმა-ნათია ძოძუაშვილმა აღნიშნა, რომ „ვანელობის" სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული ასპექტში დაბალანსებულია, თუ არ ჩავთვლით საპატიო ვანელის წოდებას, მოგეხსენებათ გენდერულმა საბჭომ რეკომენდაცია გაუწია ორ ქალბატონს: ყველაზე უხეცესს, დამსახურებულ პედაგოგს-ნუნუ ზარნაძეს და ყველაზე უხუცესს, დამსახურებულ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელს-დულიკო ავალიანს, გამომდინარე იქედან, რომ კვოტა არ გვაძლევდა საშუალებას, საპატიო ვანელის წოდება მხოლოდ ერთ ქალბატონს-დულიკო ავალიანს მივანიჭეთ, თუმცა მინდა გაცნობოთ, რომ საპატიო ვანელის წოდება მომავალში კანდიდატებს მიენიჭებათ აგრეთვე 17 ნოემბერს „გალაკტიონობას", ვაპირებთ ქალბატონ ნუნუ ზარნაძეს სწორედ ამ დღეს მივანიჭოს საპატიო ვანელის წოდება".

აზრი გამოთქვა: გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ „დავამატებდი იმას, რომ ვანის საჭადრაკო კლუბისთვის საკრებულოს მიერ ვანელი წარმატებული მოჭადრაკის ნინო ხურციძის სახელის მინიჭება მნიშვნელოვანი მოვლენაა გენდერული კუთხით, მსგავსი გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს აგრეთვე გენდერული საბჭოს იმიჯის ამაღლებას შიდა და გარე აუდიტორიაში.

გადაწყვიტეს:

საბჭომ წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი.

მოისმინეს

3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით-„**ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგიის მომზადების მიზნით სამომავლო აქტივობების განსაზღვრა, დაგეგმვა**"

მომხსენებელმა გენდერული საბჭოს მდივანმა- სალომე ფახურიძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა და ზოგადად ძალადობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს და უმთავრეს გამოწვევად რჩება სახელმწიფოსთვის, ამ პრობლემის წინააღმდეგ სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების კონსოლიდაციის მნიშვნელობა გამოიხატა იმაში, რომ პრობლემა საკანონმდებლო დონეზეა აყვანილი, მოგეხსენებათ მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის როლი პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით. გენდერულ საბჭოს გარკვეული ვალდებულებები გააჩნია ამ მიმართულებით და სწორედ ამ მიზნით საწყის ეტაპზე უნდა მომზადდეს ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგია, სადაც განხილული იქნება ოჯახური ძალადობა როგორც პრობლემა, გამომწვევი მიზეები, მაპროვოცირებელი ფაქტორები, გადაჭრის გზები, პრევენციის საშუალებები, მუნიციპალიტეტის ჩართულობის როლი პრობლემის აღმოფხვრის თვალსაზრისით. საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების დაგეგმვა, სადაც სამიზნე ჯგუფად აღებული იქნება ახალგაზრდები, საჯარო მოხელეები, პედაგოგები, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები. მნიშვნელოვანი იქნება შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ვანის რაიონულ განყოფილებასთან თანამშრომლობა ამ კუთხით, ამ ეტაპზე გამოვითხოვოთ ინფორმაცია ოჯახურ ძალადობაზე მიმართვიანობის, შემაკავებელი ორდერების გამოცემის სტატისტიკის შესახებ“.

აზრი გამოთქვა: გენდერული საბჭოს წევრმა-ეთერი ჭიჭინაძემ “ასევე მნიშვნელოვანი იქნება ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების მოწვევა, ვინაიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლების როლი და ჩართულობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამოვლენის, მასზე რეაგირების და რეფერირების პროცესში“, რასაც დაეთანხმა საბჭო“.

საბჭომ განიხილა მესამე საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

3. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგიის მომზადების მიზნით სამომავლო აქტივობების განსაზღვრა, დაგეგმვა“

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-ალექსანდრე ლილუაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

31.05.2019 წ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ხელმოწერების სია

	სახელი გვარი	ხელმოწერა
1	ალექსანდრე ლილუაშვილი	~~31.05.2019 წ~~
2	გიორგი ივანიაძე	
3	სალომე ფახურიძე	
4	ეთერი ჭიჭინაძე	
5	თამარ შენგელია	
6	თამარ დვალიშვილი	
7	ნიკოლოზ დვალიშვილი	
8	გონერი მეფარიშვილი	
9	მარინა ღვინიანიძე	
10	ნათია ძოძუაშვილი	
11	გელა ჩიკვაიძე	
12	თამარ ძნელაძე	
13	მამუკა ნამიჭეიშვილი	
14	მიხეილ სვანაძე	
15	გვანცა სიგუა	
16	თამაზი თავაძე	
17	ივანე მამფორია	
18	ლელა ჩიკვაიძე	
19	ტარიელ ბარამიძე	
20	ნანა ლილუაშვილი	
21	აპოლონ რამიშვილი	
22	ნატო დვალიშვილი	